საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, მეორე ტური
2021 წლის 30 ოქტომბერი

მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების მეორე ტური ზოგადად კარგად ადმინისტრირებული იყო, მაგრამ უწყვეტმა პოლარიზაციამ და ნეგატიური რიტორიკის გამწვავებამ პროცესზე უარყოფითად იმოქმედა. კამპანია კონკურენტული იყო და ხასიათდებოდა ეროვნულ საკითხებზე მნიშვნელოვანი ფოკუსირებით, რამაც ადგილობრივი საკითხები დაჩრდილა. ზოგადად კანდიდატებს კამპანიის თავისუფლად წარმართვა შეეძლოთ, მაგრამ ამომრჩევლებთა დაშინებისა და ზეწოლის ბრალდებები შენარჩუნდა. რესურსებს შორის მკვეთრი დისბალანსი და ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული შეუსაბამო უპირატესობა მმართველ პარტიას დამატებით აძლევდა ხელს და საასპარეზო პირობებს ცვლიდა. კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება შემცირდა არასაკმარისი კონტროლის გამო. კერძო სატელევიზიო არხები კვლავ აჩვენებდნენ პოლარიზაციის მაღალ დონესა და აშკარა მიკერძოებულობას, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას უზღუდავდა. არჩევნების დღემ მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა და კარგად იყო ადმინისტრირებული; თუმცა დაფიქსირდა საარჩევნო უბნებს გარეთ პარტიების მხარდამჭერებს შორის დაპირისპირების რამდენიმე შემთხვევა. მთლიანობაში დადებითად შეფასდა ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურები, რამდენიმე პროცედურული ხარვეზის მიუხედავად, განსაკუთრებით ხმების დათვლის პროცესში. თუმცა, დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოქმედებენ როგორც პარტიის მხარდამჭერები, და დროდადრო პროცესში ერევიან, ასევე ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ ცალკეული ადამიანების ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლებზე, შეშფოთების საფუძველს ქმნიდა.

სამართლებრივი ჩარჩო, სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, მთლიანობაში ადეკვატურ ბაზას იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, თუმცა ის მეტისმეტად გადატვირთულია და არაერთ შეუსაბამობას შეიცავს. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მანამდე გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია კვლავაც გაუთვალისწინებელია; მათ შორის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვასთან, საარჩევნო დავებთან და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები. 2020 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა დიდწილად გაითვალისწინა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ არჩევნების მეორე ტურის რეგულირებასთან დაკავშირებით მანამდე გაცემული რეკომენდაციები. აღნიშნული ცვლილებები მოიცავდა ამომრჩეველთა სიების განახლებასთან, საარჩევნო კომისიების მანდატისა და სადამკვირვებლო ჯგუფებისა და მედია საშუალებებისთვის აკრედიტაციის გახანგრძლივებასთან, და ფასიანი და უფასო საეთერო დროის ტექნიკურ

ასპექტებთან დაკავშირებულ ნორმებს. 2021 წლის ივნისში ევროკავშირის მედიაციით მიღწეული 19 აპრილის შეთანხმების შესრულების მიზნით მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გაახანგრძლივა ტაბულაციის ვადები, განსაზღვრა სავალდებულო შემთხვევითი გადათვლის წესი და შემოიღო დაცვითი მექანიზმები საარჩევნო უბნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით.

საერთო ჯამში საოლქო საარჩევნო კომისიებმა პირველი ტურის შედეგების გადათვლა სულ 811 უბანზე ჩაატარეს, რამაც მცირე ცვლილებები გამოიწვია და მთლიანობაში თავდაპირველი შედეგები დაადასტურა, მუნიციპალიტეტის ორგანოს - საკრებულოს ორი ადგილის გარდა, რომელიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ შეიცვალა. ინფორმაცია შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 360 უბნის შედეგების გადათვლის დროისა და ადგილის შესახებ არ იყო სრულყოფილად მიწოდებული დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც უარყოფითად აისახა პროცესის გამჭვირვალობაზე. მიუხედავად იმისა, რომ გადათვლებმა მთლიანობაში ტაბულაციის პროცესის შემოწმების დამატებითი ფენა წარმოქმნა, არასაკმარისმა რეგულაციებმა გადათვლების არათანმიმდევრული ჩატარება განაპირობა, რამაც პროცესის ანგარიშვალდებულება შეამცირა. არჩევნების შედეგების მართვის გამჭვირვალობის ხარისხი გაუმჯობესდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ სრული არასეგრეგირებული შედეგების მომხმარებლისთვის მოსახერხებელ ცხრილებში პირველად გამოქვეყნებით.

პირველი ტურის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 1 300 საჩივარი შევიდა. 900-ზე მეტი საჩივარი გადათვლის მოთხოვნას შეეხებოდა, რაც უმეტეს შემთხვევაში არსებითად არ დაკმაყოფილდა. მთლიანობაში, კენჭისყრის და დათვლის პროცედურებთან დაკავშირებით არსებული გასაჩივრების მექანიზმი უზრუნველყოფს დროული გამოსწორების შესაძლებლობას. თუმცა კანონს აკლია მკაფიო და ობიექტური კრიტერიუმები, როგორც გადათვლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათ შესასრულებლად, ისე კენჭისყრის შედეგების გასაბათილებლად, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემულ და ჯერაც გაუთვალისწინებელ რეკომენდაციებს. აღნიშნული კი საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებს მსგავს მოთხოვნებზე გადაწყვეტილებების გამოსატანად ფართო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობას ანიჭებს.

ხუთ თვითმმართველ ქალაქსა და 15 მუნიციპალიტეტში, ასევე 24 მუნიციპალიტეტის ორგანო - საკრებულოში 42 მაჟორიტარული ადგილისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური გაიმართა. მეორე ტურს ადმინისტრირებას უწევდა ცესკო, 40 საოლქო საარჩევნო კომისია და 1 830 სტანდარტული საუბნო საარჩევნო კომისია. ცესკომ მეორე ტური პროფესიონალურად და გამჭვირვალედ წარმართა და კანონით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი ვადა დაიცვა. პროცესში მონაწილე მხარეები კვლავ გამოთქვამდნენ შეშფოთებას ქვედა დონის საარჩევნო კომისიების წევრების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. დაახლოებით 2 090 000 ამომრჩეველს შეეძლო მეორე ტურში ხმის მიცემა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე მხარეების უმეტესობა ამომრჩეველთა სიების სიზუსტის მიმართ კვლავ ნდობას გამოხატავდა.

საარჩევნო კამპანია გააქტიურდა არჩევნების დღემდე ორი კვირით ადრე და გამოირჩეოდა პირველი ტურისთვის დამახასიათებელი თავდასხმითი და ნეგატიური რიტორიკის გამწვავებით. არჩევნებამდე ბოლო კვირაში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ინციდენტებს, მათ შორის პარტიის ოფისის გარეთ დაპირისპირებასა და ოპოზიციასთან დაკავშირებული ყოფილი პოლიციელების დაკავებებს. კანდიდატებს კამპანიის თავისუფლად წარმართვა შეეძლოთ, თუმცა ზეწოლისა და დაშინების შესახებ გამოთქმული, ფართოდ გავრცელებული და თანმიმდევრული ბრალდებები ისევე, როგორც ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული შეუსაბამო უპირატესობა არჩევნების ორ ტურს შორის შენარჩუნდა. პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ნებისმიერი მუნიციპალიტეტი, რომელშიც ოპოზიცია გაიმარჯვებს, განცალკევდება ცენტრალური ხელისუფლებისგან და არ ექნება პროექტების განხორციელების შესაძლებლობა, ოპოზიციამ დაგმო და მათი ამომრჩევლებისადმი დამუქრების მცდელობად შეაფასა. *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* კამპანიაში შენარჩუნდა ფოკუსი ეროვნულ საკითხებზე და წინ წამოწია კოალიციური პოლიტიკა, ხოლო *„ქართულმა ოცნებამ“*საკუთარი კამპანიის სტრატეგია შეცვალა და, პირველ ტურთან შედარებით, უფრო გააძლიერა ეროვნულ საკითხებზე ფოკუსირება.

მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს კამპანიის ფინანსური ანგარიშები მეორე ტურამდე მხოლოდ სამი დღით ადრე უნდა წარედგინათ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მეორე ტურის წინა დღემდე მათი გამოქვეყნება არ ევალება , რაც დროული შემოწმების შესაძლებლობას ზღუდავდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სამ შესაძლო დარღვევაზე წარმოებული გამოძიებები არჩევნების მეორე ტურამდე ჯერ კიდევ გრძელდებოდა. მთლიანობაში, დაჩქარებული ვადების არარსებობა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფორმალისტური მიდგომა იწვევდა შეშფოთებას, რომ მარეგულირებელი ჩარჩო არასაკმარისია, ხოლო კონტროლი არაეფექტური.

მედიაგარემო კვლავ პოლარიზებით ხასიათდებოდა. ბევრი ეროვნული კერძო ტელევიზია ან ღია მხარდაჭერას გამოხატავდა მმართველი პარტიის მიმართ და ოპოზიციას უარყოფითად აშუქებდა, ან პირიქით, აშკარა მიკერძოებულობას ავლენდა მმართველი პარტიის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი მაუწყებლები, "საზოგადოებრივი მაუწყებლის *აჭარის ტელევიზია“* კამპანიის ძირითადად ნეიტრალურ და მრავალფეროვან გაშუქებას უზრუნველყოფდა. *„საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“* თანაბარი საეთერო დრო დაუთმო *„ქართულ ოცნებას“* და *„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“* უმეტესწილად ნეიტრალურად გააშუქა, მაშინ როცა *„ქართული ოცნების“* გაშუქების ტონი არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად უფრო პოზიტიური გახდა. ძირითადმა კერძო ტელევიზიებმა შეინარჩუნეს გაშუქების შესაბამისი პოლიტიკური ხაზი და გაზარდეს მიკერძოებულობის ხარისხი, წარმოადგინეს რა მხარის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მკვეთრად გამოვლენილი აქტივიზმი. მედია საშუალებების უმრავლესობა ფოკუსირებული იყო პარტიებსა და კანდიდატებს შორის ურთიერთთავდასხმებისა და ურთიერთბრალდებების გაშუქებაზე, შეზღუდულად აშუქებდა ზოგადად პოლიტიკის საკითხებსა ან ადგილობრივი მნიშვნელობის თემებს, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას უზღუდავდა.

არჩევნების დღემ მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა და კარგად იყო ადმინისტრირებული; თუმცა დაფიქსირდა საარჩევნო უბნებს გარეთ პარტიების მხარდამჭერებს შორის დაპირისპირებისა და ურთიერთპროვოკაციები რამდენიმე შემთხვევა. საერთაშორისო

სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მათ მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნების უმეტესობაში უბნების გახსნისა და ხმების დათვლის პროცედურები დადებითად შეაფასეს. ზოგიერთ საარჩევნო უბანზე ხალხმრავლობის გამო გამოწვევად დარჩა კოვიდრეგულაციების შესაბამისი ზომების დაცვა. სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებდნენ, როგორც პარტიების მხარდამჭერები და დროდადრო საარჩევნო პროცესს ხელს უშლიდნენ, ისევე როგორც ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ პარტიების მხარდამჭერების უწყვეტ რეჟიმში ყოფნა, რაც ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით 100 მეტრის პერიმეტრში აიკრძალა, კვლავაც შეშფოთების საგანია. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმების დათვლის პროცესი დადებითად შეაფასეს, მაგრამ მათ მიერ მონახულებულ არაერთ უბანზე აღინიშნა ოქმების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეები, რაც ხაზს უსვამს დამატებითი გადამზადების საჭიროებას. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებული წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობა 49.1 პროცენტი იყო.

წინასწარი მიგნებები

არსებული ფონი და პოლიტიკური კონტექსტი

16 ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პირველი ტურის საბოლოო შედეგები გამოაცხადა და ხუთ თვითმმართველ ქალაქსა და 15 მუნიციპალიტეტში მერის, ასევე 24 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს 42 წევრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ასარჩევად მეორე ტური დანიშნა. პირველ ტურში პროპორციული სისტემით თექვსმეტმა პარტიამ მიაღწია დადგენილ ბარიერს.[1] ქვეყნის მასშტაბით, *„ქართულმა ოცნებამ“* პროპორციული ხმების 46,7 პროცენტი მიიღო, *“ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* – 30,7 პროცენტი და *„გახარია - საქართველოსთვის“* – 7,8 პროცენტი[2]. 1 404 პროპორციული მანდატიდან 441 მანდატი ქალებმა მოიპოვეს (31,4 პროცენტი). 664 მაჟორიტარული ოლქიდან 622-ში გამარჯვებული პირველ ტურში გამოცხადდა და მათგან 47 იყო ქალი (7,6 პროცენტი). აღნიშნული მანდატების 90 პროცენტი *„ქართულმა ოცნებამ“* მოიპოვა, 8,5 პროცენტი - *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“,* სხვა პარტიებმა კი - ერთ პროცენტზე ნაკლები. 64-დან 44 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მერი პირველ ტურში აირჩიეს, ყველგან *„ქართულმა ოცნებამ“* გაიმარჯვა. არჩეული მერებიდან ორი არის ქალი. *„ქართული ოცნების“* მიერ მიღებული შედეგები

აღემატებოდა 19 აპრილის შეთანხმებით განსაზღვრულ ნიშნულს, რასაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა უნდა გამოეწვია. [3]

---

[1] საარჩევნო ბარიერი თბილისში 2.5 პროცენტი, ხოლო სხვა თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში 3 პროცენტია.

[2] დამატებით სხვა ცამეტმა პარტიამ და სამმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა მოიპოვა მანდატები. არჩევნებში მონაწილეობა 43-მა პარტიამ მიიღო, მათგან 27-მა საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა.

[3] 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება მიზნად ისახავდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ წარმოქნილი პოლიტიკური ჩიხის განმუხტვას. ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა 2022 წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ მმართველი პარტია 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით ხმების 43 პროცენტს ვერ მიაღწევდა.

რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ უნდობლობა გამოხატა, რასაც აჩვენებდა პარტიებისა და სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრების დიდი რაოდენობა, რაც ხშირად ხმების გადათვლის მოთხოვნებით დასრულდა (იხ. *პირველი ტურის შემდგომი საჩივრები და სარჩელები*). საპროტესტო აქცია გაიმართა და დაძაბულობა გაიზარდა ზუგდიდში მას შემდეგ, რაც საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ხმების გადათვლის შედეგად, *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* ერთი მაჟორიტარული მანდატი დაკარგა *„ქართული ოცნების“* სასარგებლოდ.[4] პროცესში მონაწილე ზოგიერთმა მხარემ ეჭვი გამოთქვა პენიტენციურ დაწესებულებებსა და COVID-19-ის გამო შედგენილ სპეციალურ საარჩევნო სიაში მყოფი ამომრჩევლების მიერ მმართველი პარტიის სასარგებლოდ მიცემულ დიდი რაოდენობის ხმებთან დაკავშირებით.[5]

მეორე ტურებში *„ქართული ოცნების“* კანდიდატებმა მონაწილეობა მიიღეს მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ ყველა 42 საარჩევნო მარათონში, გარდა ერთისა, *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* - 25-ში, *„გახარია - საქართველოსთვის“* - 11-ში, სხვა ხუთმა პარტიამ და ერთმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა კი - ერთში. 84 კანდიდატიდან შვიდი იყო ქალი.[6] *„ქართული ოცნების“* კანდიდატები მერობისთვის გამართულ ოცივე საარჩევნო მარათონში მონაწილეობდნენ, *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* კანდიდატები კი - 17-ში; ორი სხვა პარტიის კანდიდატი და ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი კი - ერთში. 40 კანდიდატიდან ორი იყო ქალი. მეორე ტურში უმცირესობების წარმომადგენელმა მხოლოდ ორმა კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს იმ ქალაქებსა და რეგიონებში, რომლებშიც მეორე ტური ტარდება.

ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, დაბრუნებასა და დაკავებას პოლიტიკურ დისკურსზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა.[7] რამდენიმე აქცია ჩატარდა მისი გათავისუფლების მოთხოვნით და მისი მხარდამჭერების მობილიზაციის მიზნით, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა მეორე ტურში. მისმა მოწინააღმდეგე ჯგუფებმა კონტრაქციები გამართეს და გააპროტესტეს მისი მთავრობის დროს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. აღნიშნულმა მოვლენებმა და ეროვნულ პოლიტიკაზე გაძლიერებულმა ფოკუსირებამ გაამძაფრა კონკურენცია, კიდევ უფრო გაამწვავა პოლიტიკური დისკურსი და კანდიდატებს შორის განხეთქილება გააღრმავა.

---

4 ოთხ საუბნო საარჩევნო კომისიაში ბათილი ბიულეტენების გადათვლის შემდეგ, *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მიერ თავდაპირველად მოპოვებული მანდატი *„ქართულ ოცნებას“* მიენიჭა.

5 *„ქართულმა ოცნებამ“* პენიტენციურ დაწესებულებებში პროპორციული საარჩევნო სისტემით ხმების 81.6 % მიიღო, ხოლო COVID-19-ის გამო შექმნილ სპეციალურ სიებში მყოფი ამომრჩევლების ხმების 58.2 პროცენტი.

6 21 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო *„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“* მიერ წარდგენილი სარჩელი კანდიდატთა სიის რეგისტრაციისთვის გენდერული კვოტირების მოთხოვნის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ.

7 მიხეილ სააკაშვილს სასჯელი დაუსწრებლად შეეფარდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო და მის მიმართ წარდგენილი იყო თანხის გაფლანგვისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებები. დაკავების შემდეგ მან გათავისუფლების მოთხოვნის მიზნით შიმშილობა დაიწყო.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველა ოპოზიციურ პარტიას მოუწოდა მეორე ტურში ოპოზიციური კანდიდატების მხარდაჭერისკენ, იმის მიუხედავად თუ რომელ პარტიას წარმოადგენდნენ ისინი. ზოგიერთმა პარტიამ მხარი დაუჭირა შემოთავაზებას და საკუთარ ამომრჩეველს მოუწოდა, ხმა მიეცათ მმართველი პარტიის გარდა ნებისმიერი კანდიდატისთვის; სხვებმა გადაწყვიტეს არ გამოეხატათ მხარდაჭერა რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მიმართ.[8]

სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი ჩარჩო მთლიანობაში ადეკვატურ ბაზას იძლევა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, ხოლო 2020 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა დიდწილად გაითვალისწინა მეორე ტურს რეგულირებასთან დაკავშირებით დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციები. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავდა ამომრჩეველთა სიების განახლებასთან, საარჩევნო კომისიებისთვის მანდატის, ხოლო სადამკვირვებლო ჯგუფებისა და მედია საშუალებებისთვის აკრედიტაციის გახანგრძლივებასთან, და ფასიანი და უფასო საეთერო დროის ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებულ ნორმებს. თუმცა სამართლებრივი ჩარჩო მეტისმეტად გადატვირთულია და მოიცავს არაერთ შეუსაბამობას.[9] 2021 წლის ივნისში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გაახანგრძლივა საჩივრების შეტანისა და განხილვის ვადები, ხოლო მეორე ტურის ჩატარების თარიღად პირველი ტურის შემდეგ მეოთხე შაბათი განისაზღვრა. ვინაიდან მოქმედი ნორმები არ იყო ჰარმონიზებული განმეორებითი კენჭისყრა უნდა გამართულიყო პირველი ტურის ჩატარებიდან ორი კვირის შემდეგ, ანუ საარჩევნო ვადების გადაწყვეტისთვის გაწერილი ვადის ბოლო დღეს.

პირველი ტურის შედეგების ტაბულაცია და გადათვლა

2021 წლის ივნისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები საუბნო საარჩევნო კომისიების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებთან მიმართებით შემთხვევით სავალდებულო გადათვლებს და პროცედურული გარანტიების შემოღებას განსაზღვრავდა.[10] შედეგების ტაბულაციის ვადა, რომელიც 11-დან 14 დღემდე

---

8 *„ევროპული საქართველო“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“, „დროა“, „ლელო“, „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი“ და„ვადამდელი არჩევნები - ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“* დასთანხმდნენ *„ქართული ოცნების“ კონკურენტი ნებისმიერი კანდიდატის მხარდაჭერას, ხოლო „გახარია-საქართველოსთვის“, „გირჩი“, „ევროპელი სოციალისტები“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ და „ანა დოლიძე - ხალხისთვის“* და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საკუთარ ამომრჩევლებს არ მოუწოდეს მეორე ტურში რომელიმე კონკრეტული პარტიისთვის დაეჭირათ მხარი.

9 საარჩევნო კოდექსის 76[1] მუხლის მე-9 პარაგრაფი, რომელიც აღწერს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატთა შესარჩევ პროცედურებს, არ არის ჰარმონიზებული 2021 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებთან და კვლავ საუბრობს საუბნო საარჩევნო კომისიის 12 წევრზე. 2021 წლის ივნისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად კანონი კვლავ შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც საოლქო საარჩევნო კომისიებს შესაძლებლობას აძლევს საუბნო საარჩევნო კომისიების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებში პირდაპირ შეცვალონ მონაცემები ისე, რომ ეს მხოლოდ დაზუსტების შედეგი იყოს და არა გადათვლის.

10 შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიებს შეეძლოთ თავიანთი ოქმების მონაცემების შეცვლა შესწორების ოქმის მეშვეობით მხოლოდ საარჩევნო მასალების დალუქვამდე.

გახანგრძლივდა, ახლად შემოღებულ შემთხვევითი გადათვლების, საჩივრების განხილვისა და გასაჩივრების ვადებს ითვალისწინებდა. ამ ცვლილებების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში ნებისმიერი მონაცემი შესწორების ოქმის გარეშე შეიცვლებოდა, საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი იყვნენ ჩაეტარებინათ უბნის შედეგების ხელახალი გადათვლა, და მხოლოდ გადათვლის შედეგად შეეძლოთ ამ უბნის საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში ცვლილების შეტანა.

კანონის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისიებმა, პირველ რიგში, საუბნო საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმები განიხილეს, ატვირთეს ცესკოს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში და დააჯამეს ოლქის შედეგები ცხრილებში, რომლებიც თვალსაჩინო იყო დამკვირვებლებისა და კანდიდატების წარმომადგენლებისთვის. იმ სამოც ოლქში, რომელსაც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, ეს საწყისი ეტაპები, მისიის წარმომადგენლებმა შეაფასეს როგორც ძირითადად გამჭვირვალე და კარგად ორგანიზებული, რუსთავის, მარნეულის, ზუგდიდის და ნაძალადევის ოლქების გარდა.[11] ცესკომ მონაცემების ორმაგი შეტანის პროცედურით საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების გაციფრულების მეშვეობით წინასწარი შედეგები შეაჯამა.[12] დადებით ჭრილში, არჩევნების ღამეს საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების დასკანერებული ასლები თანდათან განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, რამაც ხელი შეუწყო პროცესის გამჭვირვალობას.

2021 წლის ივნისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად შემთხვევით შერჩეული ხუთი საუბნო საარჩევნო კომისიის გადათვლა უნდა ჩატარებულიყო თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს ექვსი დღისა.[13] შემთხვევითი ხელახალი გადათვლის პირობები უფრო დეტალურად განისაზღვრა ცესკოს დადგენილებით, რომლის თანახმადაც ოლქებს უფლება მიეცათ ხუთივე უბანი ერთდროულად გადაეთვალათ არა საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში. დადგენილება საოლქო საარჩევნო კომისიებს ავალდებულებს, მოიწვიონ მხოლოდ ის დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც დაესწრნენ ხმების თავდაპირველ დათვლას შესაბამის უბნებზე. ცესკოს არაფორმალური რეკომენდაციის მიხედვით ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების მეორე დღეს სხდომაზე შემთხვევითობის პრინციპით

---

11 გამოვლენილი ხარვეზები მოიცავდა პროცესში არაუფლებამოსილი პირების ჩარევას, არასრულყოფილ ან არასწორად დალუქულ საარჩევნო მასალებს და ოქმებში არსებულ მონაცემებს, რომლებიც ყოველთვის არ იყო შეჯერებული.

12 პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშულ ცესკოს წევრებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა დაესახელებინათ 72-დან 18 მონაცემების შეყვანის ოფიცერი. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების მიერ წინასწარ შედეგებში აღმოჩენილი ზოგიეთი შეცდომიდან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ზოგიერთი ოქმი შესაძლოა მხოლოდ ერთხელ შეიყვანეს. ცესკოს მიერ განხორციელებულმა გადამოწმების პროცედურებმა ასეთი შეცდომები წინასწარი შედეგების მეორედ გამოქვეყნებამდე გაოსწორა.

13 ეს განაწილება შეესაბამება ყველა უბნის 10 პროცენტს, მაგრამ არ ითვალისწინებს თითოეულ საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობებს შორის არსებულ სხვაობას.

შეარჩია ხუთი საუბნო საარჩევნო კომისია და მომდევნო დღეს ხუთივე უბნის გადათვლა ერთდროულად ჩაატარა. ინფორმაცია იმ საოლქო საარჩევნო სხდომების გამართვის შესახებ, სადაც ხუთი უბანი შემთხვევითობის პრინციპით განისაზღვრა და ასევე ინფორმაცია ამ უბნების გადათვლის ჩატარების რეალური დროისა და ადგილის შესახებ, დაინტერესებულ მხარეებს საკმარისად არ მიეწოდათ, რაც უარყოფითად აისახა პროცესის გამჭვირვალობაზე. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებულმა ხელახალმა გადათვლებმა, ტაბულაციის პროცესის შეფასებისთვის შემოწმების დამატებითი ფენა წარმოქმნა, საკმარისი რეგულაციების ნაკლებობამ გადათვლების არათანმიმდევრული ჩატარება განაპირობა და პროცესის ანგარიშვალდებულების ხარისხი შეამცირა. ცესკომ განაცხადა, რომ 360-დან 121 საუბნო საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებში ხელახალმა დათვლებმა სამი საარჩევნო მარათონიდან მინიმუმ ერთში მონაცემები ოდნავ შეცვალა.[14]

დამატებით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრების ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე (იხ. *პირველი ტურის შემდგომი საჩივრები და სარჩელები)* 194 გადათვლა ჩაატარეს. 9 ოქტომბერს, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრებზე გადაწყვეტილების მიღებისთვის დაწესებული ვადის ბოლო დღეს, ცესკოს თავმჯდომარემ საოლქო საარჩევნო კომისიებს არაფორმალური რეკომენდაცია მისცა, დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნა ხელახალი დათვლის შესახებ, იმ შემთხვევებში, თუ უბნის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნა შეტანილი იყო გამოცდილი სადამკვირვებელო ორგანიზაციების მიერ; ან, თუ ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა ძალიან დიდი იყო, და ასევე, თუ დათვლილმა ბიულეტენებმა ხელმოწერების რაოდენობას ხუთით გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაცია მიზნად ისახავდა საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მითითებების მიწოდებას, ის არ იქნა მიღებული ცესკოს, როგორც კოლეგიური ორგანოს მიერ, არ ჰქონდა სავალდებულო ხასიათი და მისი გაჟღერება მოხდა პროცესის ბოლოსკენ, რამაც გავლენა მოახდინა მის სამართლებრივ განჭვრეტადობაზე.[15] ამ რეკომენდაციის თანახმად, დამატებით გადაითვალა 257 უბანი; თითოეულმა საოლქო საარჩევნო კომისიამ საშუალოდ დამატებით ოთხი უბანი გადაითვალა.

კონკრეტული რეგულაციების ნაკლებობამ გამოიწვია არათანმიმდევრული პრაქტიკა და ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ მხოლოდ ბათილი ბიულეტენები, ხელმოწერები, ან კონკრეტული კანდიდატის ხმები გადათვალა, მაშინ როცა სხვა ოლქებმა ყველა გამოყენებული ბიულეტენი და ხელმოწერა გადაითვალეს. მთლიანობაში, ცესკოს მონაცემებით, 811 გადათვლა ჩატარდა.[16] მათ ძირითადად დაადასტურეს მანამდე

[14] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთი პროპორციული მანდატის გარდა, რომელიც პარტიისგან *"გახარია - საქართველოსთვის"* პარტია *"ქართულ ოცნებას"* გადაეცა.

[15] ცესკოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია მოჰყვა რეზიდენტი საერთაშორისო აქტორების მოთხოვნას.

[16] მათ შორის იყო 360 შემთხვევით შერჩეული საუბნო საარჩევნო კომისია, 194 საოლქო საარჩევნო კომისიების ინიციატივით ან საჩივრების საფუძველზე და 257 ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაციით. ხელახალი დათვლის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების 30 პროცენტში გარკვეული შეუსაბამობები დარჩა. 7 და 8 ოქტომბერს *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ"* და *„ლელომ"* წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიაში ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის განმეორებითი გადათვლა მოითხოვეს და ბათუმში ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის, იმ მოტივით, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების ხუთი ოქმიდან სამში შემთხვევითი გადათვლის შემდეგ დისბალანსი დარჩა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა მოთხოვნების დასაშვებობაზე უარი თქვეს მათი

დადგენილი შედეგები. არჩევნების შედეგების მართვისადმი სანდოობა გაუმჯობესდა, მომხმარებლისთვის მოსახერხებელ ცხრილებში წარმოდგენილი, სრული არასეგრეგირებული შედეგების გამოქვეყნებით, რომლებიც ასახავდა იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩვნებში და ასევე ბათილად ცნობილ ბიულეტენების რაოდენობას, რაც ცესკომ პირველად განახორციელა.[17]

პირველი ტურის შემდგომი საჩივრები და სარჩელები

არჩევნების დღეს კანდიდატებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეეძლოთ საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრები წარედგინათ კენჭისყრისა და დათვლის დროს პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებით და მოეთხოვათ კენჭისყრის შედეგების გადასინჯვა ან მათი ბათილად ცნობა.[18] ამგვარ საჩივრებზე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების, მათ შორის ქმედება თუ უმოქმედობა, გასაჩივრება შესაძლებელი იყო ორი დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიებში, რომლებსაც თავის მხრივ ორი დღე ჰქონდათ გადაწყვეტილების გამოსატანად. საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების შედგენის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიების წინააღმდეგ შედგენილი საჩივრები, მათ შორის ოქმებთან დაკავშირებით, საოლქო საარჩევნო კომისიებში უნდა შეეტანათ, სარჩელები კი პირველი ინსტანციის სასამართლოებში, რისთვისაც გამოყოფილი იყო ვადები: ორი დღე საჩივრის შესატანად და შესაბამისად ოთხი და ორი დღ განსახილველად. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელი იყო ერთი დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც ორი დღე ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. მთლიანობაში, კენჭისყრის და დათვლის პროცედურებთან დაკავშირებით არსებული გასაჩივრების მექანიზმი უზრუნველყოფს დროული გამოსწორების შესაძლებლობას. თუმცა კანონი არ განსაზღვრავს მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს გადათვლისა და გაბათილების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათ შესასრულებლად, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემულ და ჯერაც გაუთვალისწინებელ რეკომენდაციებს.[19] აღნიშნული საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებს გადაწყვეტილებების გამოსატანად ფართო დისკრეციული

დაგვიანებით წარდგენის გამო. 5 ოქტომბერს *"დროამ"* ნაძალედევის ოლქის განმეორებითი გადათვლა მოითხოვა, 4 ოქტომბერს ნაციონალურმა მოძრაობამ ქობულეთის ოლქის მიერ გადათვლილი უბნების შედეგების გაუქმება მოითხოვა.

17 ისინი პირველად 5 ოქტომბერს 360 შემთხვევითი გადათვლის შემდეგ, ხოლო 11 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვის შემდეგ გამოქვეყნდა. საუბნო საარჩევნო კომისიების მეოთხედზე მეტში ცალკეულად გამოქვეყნებულმა შედეგებმა აჩვენა დისბალანსი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა და მიღებულ ხმებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, ხელმოწერების რაოდენობაზე ერთი ან ორი ბიულეტენით ნაკლები იყო, ზოგ შემთხვევაში ერთი ან ორი ბიულეტენი მეტი.

18 კენჭისყრის შესახებ საჩივრები უნდა წარდგენილიყო საარჩევნო ყუთის გახსნამდე, ხოლო საჩივრები დათვლის შესახებ საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.

19 ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის" მე-2 თავის 3.3 „ე" პარაფრაფი ადგენს: "სააპელაციო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გააბათილოს არჩევნების შედეგები, იქ სადაც დარღვევებმა შეიძლება გავლენა იქონიოს შედეგზე. შესაძლებელი უნდა იყოს მთლიანი არჩევნების ან მხოლოდ ერთი ოლქის ან ერთი საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმება. გაუქმების შემთხვევაში, შესაბამის ტერიტორიაზე უნდა დაინიშნოს ახალი არჩევნები."

უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობას ანიჭებს. ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებს შესაძლებელია შერჩევითი მიდგომა გამოეყენებინათ.[20]

პირველი ტურის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში შევიდა დაახლოებით 1 300 საჩივარი, რომლებიც შეეხებოდა ერთ ან მეტ საუბნო საარჩევნო კომისიას; მათ შორის იყო 900-ზე მეტი მოთხოვნა გადათვლის შესახებ, 200-ზე მეტი მოთხოვნა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ დისციპლინური სანქციების დაკისრების შესახებ და 60 მოთხოვნა შედეგების ბათილად ცნობის შესახებ.[21] გადათვლის დაახლოებით 450 მოთხოვნა წარადგინეს საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებში არსებული დისბალანსის თაობაზე, რადგან საარჩევნო ყუთში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა სრულად არ შეესაბამებოდა ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერების რაოდენობას.[22] დაახლოებით 180 გადათვლის მოთხოვნას, რომლებიც უმეტესწილად წამოაყენა პარტიამ *„გახარია - საქართველოსთვის“,* საფუძვლად ედო მოტივი, რომ ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ზედმეტად მაღალი იყო, რაც კანონის დარღვევას არ წარმოადგენს. დაახლოებით 80 მოთხოვნაში მითითებული იყო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები არასრულად იყო შევსებული ან შეიცვალა შესწორების ოქმის გარეშე, რაც კანონის დარღვევაა.[23]

საოლქო საარჩევნო კომისიებმა თითქმის ყველა საჩივარი არსებითად და სამართლებრივ ვადებში, ღია სხდომებზე განიხილეს და მომჩივანებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარმოედგინათ თავიანთი საქმეები. საჩივრების უმეტესობა, მათ შორის გადათვლის მოთხოვნები, საოლქო საარჩევნო კომისიებმა არ დააკმაყოფილეს. იმის გამო, რომ არ არსებობს გადათვლის მოთხოვნის დაკმაყოფილების კრიტერიუმები, საოლქო საარჩევნო

---

20 ზუგდიდის 67-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტია *„გახარია - საქართველოსთვის“* მოითხოვა 102 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების გადათვლა, *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ“* – 103 უბნის, *„ქართულმა ოცნებამ“* - 5 უბნის და ამავე 5 უბისთვის სადამკვირვებლო ორგანიზაცია *„კავშირი მწვანე დედამიწამ“.* ყველა ეს მოთხოვნა წამოაყენეს ბიულეტენების კანონის საწინააღმდეგოდ გაბათილების საფუძვლით. საოლქო საარჩევნო კომისიამ არ განიხილა აღნიშნული მოთხოვნები იმ მოტივით, რომ დათვლის დროს საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრები შეტანილი არ ყოფილა. თუმცა 7 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიამ საკუთარი ინიციატივით გადათვალა ის 5 საუბნო საარჩევნო კომისია, რომელთა გადათვლაც თავდაპირველად *„ქართული ოცნებამ“* და *„მწვანე დედამიწამ“* მოითხოვეს.. გადათვლის შედეგად ოცნებამ კიდევ ერთი ადგილი მოიპოვა საკრებულოში.

21 გადათვლის შესახებ მოთხოვნები ძირითადად *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ გახარია საქართველოსთვის“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED), „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (სია), „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ (TI) და „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ (HRC) წარმოადგინეს.*

22 საუბნო საარჩევნო კომისიებს კანონით არ მოეთხოვებოდათ, პირველ რიგში ყველა გაცემული ბიულეტენის დათვალა და ამ რიცხვის საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანა, რაც არ უზრუნველყოფს დათვლის სიზუსტეს და ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის 3.2.2 პუნქტი ამბობს, რომ „იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც მისცეს ხმა [უნდა] ემთხვეოდეს საარჩევნო ყუთში ჩაყრილი ბიულეტენების რაოდენობას. ამომრჩეველთა რიცხვი განისაზღვრება საარჩევნო რეგისტრატორთან დაფიქსირებული ხელმოწერების რაოდენობით“.

23 სხვა დასახელებულ საფუძვლებს შორის იყო საუბნო საარჩევნო კომისიის არასრული ოქმები, ბიულეტინების სადავო ბათილობა, დამკვირვებლების საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან საჩივრების შეტანის შესაძლებლობის შეზღუდვა, საოლქო საარჩევნო კომისიაში მიტანილი დაულუქავი მასალები, დაულუქავი ჩანაწერთა წიგნი, ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები, ბიულეტენების არასწორი ბათილობა, დათვლის დროს ელექტროენერგიის გათიშვა დავიდეოს გადაღების შეწყვეტა..

კომისიებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში სხვადასხვაგვარი და არაერთი საფუძველი დაასახელეს; მათ შორის ისიც, რომ მათ უკვე გადათვლილი ჰქონდათ მოთხოვნილი საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგები[24] და რომ შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში მანამდე არანაირი საჩივარი არ შესულა; რომ დაუბალანსებელი ოქმები არ წარმოადგენდა კანონდარღვევას და ასევე ისიც, რომ საჩივარში არ იყო წარმოდგენილი სხვა სავარაუდო დარღვევა.[25] საერთო ჯამში 35-მა საოლქო საარჩვნო კომისიამ დააკმაყოფილა 50-მდე მოთხოვნა და ძირითადად ნაწილობრივ, მხოლოდ ხელმოწერები ან ბათილი ბიულეტენები გადათვალა. არც ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. [26]

საოლქო საარჩევნო კომისიების დაახლოებით 90 გადაწყვეტილება, რომლებიც გადათვლის მოთხოვნაზე უარის თქმას შეეხებოდა, გასაჩივრდა პირველი ინსტანციის სასამართლოში; ორის გარდა ყველა არსებითად იქნა განხილული და არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით დამატებით ორი საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები გადაითვალა .[27] სასამართლოებმა ყველა საჩივარი ჯეროვნად, ღია სხდომებზე განიხილეს. მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა გადათვლის მოთხოვნების უმეტესობა ფორმალურად არ დააკმაყოფილეს, პრაქტიკაში მოთხოვნილი გადათვლების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ჩატარდა; თუმცა ბევრი მათგანი - ნაწილობრივ, საოლქო საარჩევნო კომისიების ინიციატივით, ძირითადად ცესკოს თავმჯდომარის მიერ გაცემული რეკომენდაციის შემდეგ. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების ტაბულაციის დასრულების შემდეგ *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვა. ცესკომ და სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილეს იმ მოტივით, რომ მოთხოვნები ცალკეული საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გადათვლის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიასა და სასამართლოს უკვე განხილული ჰქონდა.

საარჩევნო ადმინისტრაცია

მეორე ტური 40 საოლქო საარჩევნო კომისიამ და 1 830 სტანდარტულმა საუბნო საარჩევნო კომისიამ ჩაატარა.[28] ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მეორე ტურის ორგანიზებისას დაცული იყო ყველა კანონიერი ვადა; პროცესი პროფესიონალურად და

---

24 ამავდროულად, ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა მოთხოვნები იმ საფუძვლით, რომ მათ საკუთარი ინიციატივით უკვე გადათვალეს.

25 ჩუღურეთის მე-7 საოლქო საარჩევნო კომისიამ პარტია *„გახარია - საქართველოსთვის“* მოთხოვნის საფუძველზე, ნაძალადევის მე-9 საოლქო საარჩევნო კომისიამ *„დროას“* 50 უბნის გადათვლის მოთხოვნის საფუძველზე, ვაკის მე-2 საოლქო საარჩევნო კომისიამ *„სამართლიანი არჩევნების“* და თეთრიწყაროს 26-ე საოლქო საარჩევნო კომისიამ *„საქართველოსთვის“*მოთხოვნის საფუძველზე.

26 შედეგების ბათილად ცნობა მოთხოვილი იყო: ერთი პირის მიერ რამდენჯერმე ან სხვა პირის მიერ ხმის მიცემის შემთხვევებში, დაუბალანსებელი ოქმების, ამომრჩევლების მიერ პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის შემთხვევაში. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში ვიდეო ჩანაწერებით იყო გამყარებული..

27 სასამართლომ გააუქმა მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გადათვლის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მომჩივანი არაუფლებამოსილი სუბიექტი იყო. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიამ მოთხოვნილი 4 საუბნო საარჩევნო კომისიიდან 2 საჩივრის საფუძველზე, ხოლო ორიც საკუთარი ინიციატივით გადაითვალა.

28 გარდა ამისა, არჩევნები ჩატარდა რვა სასჯელაღსრულების საარჩევნო უბანზე და 29სპეციალურ უბანზე კოვიდ-19-ის გამო კარანტინში მყოფ ამომრჩეველთათვის

გამჭვირვალედ წარიმართა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა ყველა საარჩევნო უბანზე გამოიყენოს პირველ ტურში თბილისში გამოცდილი ახალი ტიპის კენჭისყრის კაბინა, რომელიც მიზნად ისახავს ამომრჩევლების მიერ მონიშნული ბიულეტენის ფოტოგადაღებისთვის ხელის შესლას.[29] ცესკომ ასევე შეცვალა ხმების შემთხვევითი გადათვლების პროცედურა იმ ოლქებში, სადაც მეორე ტური მხოლოდ რამდენიმე უბანში გაიმართება.[30]

ცესკოზე დაყრდნობით მეორე ტურის ჩატარების წინ სულ 4 683 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი გაათავისუფლეს ან მათ თვითონვე მოხსნეს კანდიდატურა.[31] აღნიშნულთაგან პარტიებმა 2 666 წევრი შეცვალეს და საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა შეერჩიათ დამატებით 2 017 საუბნო საარჩევნო კომისიის არაპარტიული წევრი. დაინტერესებული მხარეების შეშფოთება ქვედა დონის საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობის მიმართ კვლავაც არ შეცვლილა. ცესკოს სწავლების ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის ჩაატარა ინტენსიური სამეტაპიანი ტრენინგები, რომლებიც საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენაზე იყო ფოკუსირებული და ასევე გადასამზადებელი ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისთვის. ცესკომ უზრუნველყო არჩევნების დღის პროცედურებთან და COVID-19 პრევენციის მიზნით შემუშავებული უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით ამომრჩევლისთის ინფორმაციის მიწოდება.

2020 წლის ივლისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით სავალდებულო გახდა ამომრჩეველთა სიაში იმ პირთა დამატება, რომელთაც პირველიდან მეორე ტურამდე პერიოდში 18 წელი შეუსრულდათ და ასევე გარდაცვლილ პირთა ამოღება. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტურის მსგავსად ამომრჩეველს კლავაც ჰქონდა საკუთარი მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობა, კანონმდებლობა ამომრჩეველთა მონაცემებში მეორე ტურამდე არანაირი სხვა ცვლილებების შეტანის შეძალებლობას არ იძლევა. 31 მუნიციპალიტეტში სულ 2 088 722 ამომრჩეველს ჰქონდა მეორე ტურში მონაწილეობის უფლება, მათ შორის 2 069 ამომრჩეველს პირველად.[32] განახლებული ამომრჩეველთა სპეციალური სიები გამოიყენებოდა მათთვის, ვინც სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხმას ვერ აძლევს თავისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.[33] გადასატანი ყუთით ხმის მიცემის მოთხოვნის რეგისტრაცია 28 ოქტომბრამდე იყო შესაძლებელი.[34] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიასთან

---

29 ცესკომ ასევე გადაწყვიტა, კრწანისის რაიონში კვლავაც გაეგრძელებინა ბიულეტენების სკანირება საპოლოტე რეჟიმში და ხმების დათვლის ვიდეოგადაღება მთელი ქვეყნის მასშტაბით გაეფართოებინა.

30 თუ საოლქო საარჩევნო კომისიის ფარგლებში მოქმედი საარჩევნო უბნების რაოდენობა არ აღემატება ხუთს, შემთხვევითი გადათვლა არ ტარდება, თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ჩაატარონ გადათვლა, თუ უბანზე გადათვლის მოთხოვნით შემოვა საჩივარი.

31 პარტიებს შეეძლოთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შეცვლა მეორე ტურამდე ოთხი დღით ადრე

32 მეორე ტურში მონაწილე ყველა ამომრჩევლის თითქმის ნახევარი დარეგისტრირდა თბილისში (1,002,525), ხოლო 11 მუნიციპალიტეტში, სადაც მხოლოდ მაჟორიტარული არჩევნები გაიმართა, არჩევნებზე მხოლოდ 27,865 ამომრჩეველი იყო მოწვეული (ლენტეხის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 653).

33 პირველ ტურში სტანდარტულ საარჩევნო უბნებზე 29 814 პირი იყო შეტანილი სპეციალურ სიებში, ცხრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაფუძნებულ უბნებზე კი 821 პირი.

34 თვითიზოლაციაში მყოფებ პირებს 23-დან 25 ოქტომბრამდე შეეძლოთ დარეგისტრირება სპეციალური გადასატანი ყუთით ხმის მიცემისთვის ცესკოს ცხელი ხაზის მეშვეობით.

საუბრისას პროცესში მონაწილე მხარეების უმეტესობა კვლავ გამოხატავდა ნდობას ამომრჩეველთა სიების სიზუსტის მიმართ.

საარჩევნო გარემო

საარჩევნო კამპანია არჩევნების მეორე ტურის დღემდე ორი კვირით ადრე გააქტიურდა. პარტიები ფოკუსირებული იყვნენ კარდაკარ აგიტაციაზე, ტრადიციული და სოციალური მედიის საშუალებებით ამომრჩევლებთან კომუნიკაციაზე და არჩევნების დღესთან ახლოს ღონისძიებების ჩატარებაზე. აღნიშნულის ნაწილი იყო *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“* და *„ქართული ოცნების“* მიერ გამართული ორი აქცია, რომლებშიც თითოეულმა ათიათასობით ადამიანი შეკრიბა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მიიღეს სარწმუნო ცნობები, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს ზემდგომებმა მისცეს მითითება მონაწილეობა მიეღოთ *„ქართული ოცნების“* მიერ ჩატარებულ აქციაში, რაც წუხილს ზრდის მმართველი პარტიის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით[35]. *„ქართული ოცნება“* აგრძელებდა ვიზუალური ლანდშაფტის დომინირებას ბილბორდებისა და პლაკატების მეშვეობით.[36]

საარჩევნო კამპანია ხასიათდებოდა თავდასხმითი და ნეგატიური რიტორიკის დამატებითი გამწვავებით.[37] ორმა უმსხვილესმა პარტიამ არაერთგზის გააჟღერა ერთმანეთის დასრულებისკენ მიმართული მოწოდებები, ხოლო ნეგატიური კამპანია დაიწყო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეორგოლების საშუალებით.[38] *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* საარჩევნო კამპანიისას კვლავაც შეინარჩუნა ეროვნულ საკითხებზე ფოკუსი, ხოლო *„ქართულმა*

---

35 დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები გაესაუბრნენ აქციის რამდენიმე დამსწრეს, რომელთაგანაც უმეტესობა საჯარო სამსახურში დასაქმებულები იყვნენ და მათგან რამდენიმემ დაადასტურა, რომ მათ მიეცათ დასწრების მითითება ან რომ მათი მონაწილეობა საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყვეს.

36 კანდიდატები აქტიურები იყვნენ სოციალურ ქსელებში, მაგრამ უმეტესად კონტენტს საკუთარი პარტიებისა და მედიისგან აზიარებდნენ, გარდა თბილისის მოქმედი მერისა, რომელიც ორიგინალურ კონტენტს აზიარებდა.

37 13 ოქტომბერს *„ქართულმა ოცნებამ“* წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო კოდექსსა და მაუწყებლობის შესახებ კანონში შესწორებების შეტანას ისახავდა მიზნად და კრძალავდა ისეთ სააგიტაციო მასალას, რომელიც გამიზნული იყო „საარჩევნო სუბიექტისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად“. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა პროცესის დაჩქარებულად წარმართვის მოთხოვნა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გამოთქვეს წუხილი, რომ მსგავსი ცვლილება გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა იქნებოდა.

38 16 ოქტომბერს *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* თბილისის მერობის კანდიდატმა „ქართული ოცნება“ დაახასიათა როგორც „ბოროტმოქმედი, ვერაგი, დამნაშავე კრიმინალი, რომელიც დგას მხოლოდ და მხოლოდ ძალადობაზე“ და განაცხადა, რომ „ეს მთელი მისი საყრდენი ძალადობის უნდა გამოვაცალოთ.“ 18 ოქტომბერს თბილისის მოქმედმა მერმა *„ქართული ოცნებიდან“* საკუთარ ამომრჩევლებს მოუწოდა, „დაასრულონ ბოლშევიზმი, ბოროტება, სიძულვილი და სიცრუე რასაც განასახიერებს *„ნაციონალური მოძრაობა“* ამ ქვეყანაში“. *„ქართულმა ოცნებამ“* განათავსა ვიდეორგოლებისოციალურ ქსელებსა და ტელევიზიაში, რომელშიც მიხეილ სააკაშვილსა და *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მერობის კანდიდატებს მმართველობაში ყოფნისთვის შეუსაბამოდ წარმოაჩენდა. *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* განათავსა ვიდეორგოლები, რომლებშიც თბილისის მოქმედ მერს სიცრუესა და მმართველობის პერიოდში კორუფციაში ადანაშაულებდა.

ოცნებამ“, საკუთარი კამპანიის სტრატეგია შეცვალა და, პირველი ტურისგან განსხვავებით, უფრო გააძლიერა ეროვნულ საკითხებზე ფოკუსირება. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა გრძელდებოდა მუნიციპალურ დონეზე. 19 ოქტომბერს მმართველმა პარტიამ გამოაცხადა „სრული მობილიზაცია“, რაც საჭირო იყო მეორე ტურში გადამწყვეტი გამარჯვებისთვის. *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“* ხაზი გაუსვა კოალიციური პოლიტიკის მნიშვნელობას, დასახა რა ის მომავალში წარმატების მიღწევის გზად და სხვა პარტიებს ოპოზიციური ერთობით *„ქართული ოცნების“* დამარცხებაში დახმარებისკენ მოუწოდა და ყველა ხუთ თვითმმართველ ქალაქში სხვა ოპოზიციური პარტიები პოტენციური კოალიციური მთავრობის წევრებად დაასახელა. არჩევნებამდე ბოლო კვირაში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ინციდენტებს, მათ შორის პარტიის ოფისის გარეთ დაპირისპირებას და ოპოზიციასთან დაკავშირებული ყოფილი პოლიციელების დაკავებებს.[39]

23 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ნებისმიერი მუნიციპალიტეტი, რომელშიც ოპოზიცია გაიმარჯვებს, განცალკევდება ცენტრალური ხელისუფლებისგან და მოკლებული იქნება პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. ოპოზიციამ ეს დაგმო, როგორც მათი ამომრჩევლებისადმი დამუქრების მცდელობა.[40] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში მონაწილე ბევრმა მხარემ გააგრძელა ამომრჩევლების დაშინებისა და მათზე ზეწოლის შესახებ ცნობების მიწოდება, რომლებიც, მათ შორის,შეეხებოდა სამსახურიდან გათავისუფლების მუქარას და დასაქმებისა და ანაზღაურების დაპირებებს, რაც განსაკუთრებით გამიზნული იყო იმ პირებისთვის, რომლებიც ხელფასების ან სოციალური მხარდაჭერის მხრივ სახელმწიფოზე არიან დამოკიდებული; ამ მიზნით სავარაუდოდ გამოიყენებოდა მმართველი პარტიის კოორდინატორების ფართო სისტემა და პროცესში ასევე ხდებოდა სამართალდამცავი ორგანოების ჩართვა.[41] ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული შეუსაბამო უპირატესობა ორ ტურს შორის შენარჩუნდა, რაც ხასიათდებოდა საჯარო პროექტების შესახებ გაკეთებული განცხადებებით, სოციალური სარგებლის დაპირებებითა და გეგმით, რომ 2022 წლის

[39] 24 ოქტომბერს ძალადობრივი დაპირისპირება მოხდა რუსთავში *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* ოფისის გარეთ, როდესაც მამაკაცთა ჯგუფი შენობაში შესვლას ცდილობდა. 20-21 ოქტომბერს *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მხარდამჭერი ორი ყოფილი სამართალდამცავი თანამდებობის პირი დააკავეს ხობსა და თბილისში.

[40] მომდევნო დღეს პრემიერ-მინისტრმა დააზუსტა, რომ ეს უკავშირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ცენტრალურ მთავრობასთან მჭიდრო კოორდინაციის საჭიროებას და ოპოზიციის კანდიდატები საბოტაჟსა და ქაოსში დაადანაშაულა.

[41] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მიიღო შეტყობინებები საჯარო მოხელეებსა და სოციალური შემწეობის მიმღებ პირებზე ზეწოლის შესახებ ჩხოროწყუში, ჭიათურაში, ონში, ახმეტაში, ზუგდიდსა და ცაგერში. და ასევე, შეტყობინებები ზუგდიდში, ჩხოროწყუში, თბილისში, თიანეთსა და წალენჯიხაში ამომრჩევლის მოსყიდვის, ხოლო თბილისში, ჭიათურასა და ხაშურში პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების ჩართულობის შესახებ გამოთქმული ბრალდებების შესახებ.

იანვრიდან საჯარო მოხელეების ხელფასები გაიზრდება.[42] მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროექტის ინიციირება კამპანიის დაწყებამდე მოხდა, აღნიშნული კანონის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა და სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარს ბუნდოვანს ხდიდა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და კარგ პრაქტიკასთან.[43]

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციები, რომელიც მოიცავს შემოწირულებებსა და ხარჯებზე დაწესებულ შეზღუდვებს და ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებას, მეორე ტურზეც ვრცელდება. კანონის თანახმად, პირველ ტურამდე საარჩევნო სუბიექტებმა წარადგინეს თავიანთი შემოსავლები და ხარჯები მხოლოდ 12 სექტემბრის მდგომარეობით, რაც, თავის მხრივ, წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო სამი კვირის განმავლობაში კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობას ამცირებს.[44] არჩევნების შემდეგ, 7 ოქტომბერს, ჯამში 32-მა პარტიამ და 26-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა

---

42 17 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ 2022 წლის იანვრიდან ვეტერანებისთვის ყოველთვიური დანამატი ხუთჯერ გაიზრდებოდა. 23 ოქტომბერს კამპანიის ღონისძიებაზე ქუთაისში პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ მთავრობა აპირებს ქალაქში ელექტრომობილების ქარხნის აშენებას; გამოაცხადა, რომ 2022 წლის იანვრიდან საჯარო მოხელეების ხელფასი გაიზრდება და საზოგადოებას შეახსენა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გაზრდასთან დაკავშირებით მთავრობის გეგმებისა და ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. 25 ოქტომბერს აჭარის მთავრობამ გამოაცხადა 70 ბინის იმ ოჯახებისთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომლებიც იქ წლებია ცხოვრობენ. 25 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ქუთაისში, ზუგდიდსა და თბილისში 65 იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის ბინების გადაცემა გადაწყვიტა, მომდევნო დღეს კი გამოაცხადა, რომ წლის ბოლომდე ბათუმში იძულებით გადაადგილებული პირებისთვის კიდევ 700 ბინა დასრულდება . 27 ოქტომბერს, თბილისის მოქმედმა მერმა გამოაცხადა 1 ნოემბრიდან ახალი განაცხადების მიღება მუნიციპალურ პროგრამაში *„ისწავლე და დასაქმდი“;* უფრო ადრე კი, 20 ოქტომბერს, თბილისის მერიაში მთავრობის სხდომაზე მერმა წარადგინა საარჩევნო დაპირება სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის მედიკამენტების შესაძენად 500 ლარიანი ვაუჩერის გაცემის შესახებ.

43 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პარაგრაფი ამბობს, რომ „სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკვეთრი ზღვარი უნდა გადიოდეს“. 2016 წლის „საარჩევნო პროცესების დროს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მასზე რეაგირების დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპების“ („სახელმძღვანელო პრინციპები“) II.B.1.3 პარაგრაფი აცხადებს, რომ საარჩევნო პერიოდში მთავრობის ყოველდღიური საქმიანობა უნდა გაგრძელდეს. თუმცა, საარჩევნო კონკურენციისას თანაბარი პირობების ბალანსის დარღვევის მიზნით ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის, სამართლებრივი ჩარჩო უნდა ადგენდეს, რომ საარჩევნო კამპანიის დროს არ უნდა გაკეთდეს განცხადებები ისეთი მნიშვნელოვანი ინიციატივების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ პარტიასთან ან კანდიდატთან ან მიზნად ისახავს კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის მიმართ ხელსაყრელი აღქმის ჩამოყალიბებას. „სახელმძღვანელო პრინციპების“ II.B.1.1 პარაგრაფის თანახმად „სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმები, რათა საჯარო თანამდებობის პირებს აეკრძალოთ მათი პოზიციით წარმოქმნილი უპირატესობის არასამართლიანი გამოყენება საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ოფიციალური, საჯარო ღონისძიებების გამართვით, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებების, ან ღონისძიებების, რომლებიც რომელიმე პარტიის ან კანდიდატისთვის ხელსაყრელი ან არახელსაყრელია.“

44 კანონი სამკვირიანი ფინანსური ანგარიშების წარდგენას მოითხოვს კამპანიის დაწყებიდან. პირველი ფინანსური ანგარიშები, რომელიც 2-22 აგვისტოს პერიოდს მოიცავს, 26 აგვისტომდე უნდა წარდგენილიყო, ხოლო მეორე, რომელიც 23 აგვისტოდან 12 სექტემბრის პერიოდს მოიცავს – 16 სექტემბრამდე.

პირველი ტურის მესამე ფინანსური ანგარიში წარადგინა. სამი ფინანსური ანგარიშის საფუძველზე, რომელიც პირველ ტურამდე ორ თვეს მოიცავს, *„ქართულმა ოცნებამ“* განაცხადა, რომ დაახლოებით 12,5 მილიონი ლარი მიიღო და დახარჯა არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ გაცხადებული 19 მილიონი ლარის ოდენობის შემოწირულებებიდან და დანახარჯიდან.[45] კამპანიის ფინანსებსა და რესურსებში მნიშვნელოვანმა დისბალანსმა ხელი შეუწყო არათანასწორი საასპარეზო პირობების შექმნას. მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებს ანგარიშების წარდგენა მოეთხოვებოდათ 28 ოქტომბერს, მაგრამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ ევალება მათი მეორე ტურის წინა დღეს გამოქვეყნება, რაც ზღუდავს მათი დროული შემოწმების შესაძლებლობას.[46] სამართლებრივი მოთხოვნის არარსებობის გამო, არჩევნების მეორე ტურის დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არცერთი დასკვნა არ გამოუქვეყნებია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიძია „ქართული ოცნების“ 92 შემომწირველი მათი სავარაუდო შუამავლობის საფუძველზე და განაცხადა, რომ ყველა შემოწირულება იყო დასაშვებ საზღვრებში და ყველა შემომწირველს საკმარისი შემოსავალი ჰქონდა განხორციელებული შემოწირულებების გასამართლებლად, თუმცა არ ჩაუტარებია დამატებითი გამოძიება, რათა გამოერიცხა, რომ ისინი შუამავლები იყვნენ.[47] სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოკვლევა ჩაატარა იმ ფიზშემოიკური პირის შესახებ, რომელმაც იმ ანტი-ოპოზიციური და კანონით მოთხოვნილი ნიშნების არმქონე ბილბორდების საფასური გადაიხადა, რათა დაედგინა, აკმაყოფილებდა თუ არა აღნიშნული ბილბორდების ღირებულება შემოწირულების დასაშვებ ზღვარს.[48] თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნა, რომ ანონიმურად განთავსებული ბილბორდები არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ მესამე მხარის კამპანიად ან არამატერიალურ შემოწირულებად, რადგან შეუძლებელი იყო სარგებლის მიმღები საარჩევნო სუბიექტის იდენტიფიცირება და ამავდროულად არ განხორციელებულა ქმედებები ამ ბილბორდების ჩამოსახსნელად. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოკვლევა ჩაატარა *„გირჩთან“ დაკავშირებით*, მის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის თანამდებობების აუქციონის გზით გაყიდვებით მიღებული თანხების გამო, რაც რელიგიური ორგანიზაციის „საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური,

---

45 1 ევრო უდრის 3,7 ლარს. 2 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე პერიოდის ფინანსური ანგარიშების მიხედვით *„ქართული ოცნების“*შემოწირულებების საერთო რაოდენობა 12,5 მილიონ ლარს შეადგენდა, *„ლელოსი“* - 2,3 მილიონს, *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* - 1,8 მილიონს, *„გახარია საქართველოსთვის“* - 1 მილიონს, *„ევროპული საქართველოსი“* - 0,8 მილიონს, *„მოქალაქეებისთვის“* - 0,4 მილიონს, *„მესამე ძალა- სტრატეგია აღმაშენებლის“* - 0,3 მილიონს, *„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“* - 0,2 მილიონს. ეს მაშინ, როდესაც სხვა საარჩევნო სუბიექტებმა დეკლარაციებში გაცილებით მცირე თანხები ან შემოწირულებების არქონა დაფიქსირეს. აღნიშნულ პერიოდიში ანალოგიური ოდენობის ხარჯები დაფიქსირდა.

46 არჩევნების ღამეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სამი საარჩევნო სუბიექტის ანგარიში გამოაქვეყნა.

47 92-ვე შემომწირველი სამცხე-ჯავახეთიდან იყო და მათ ჯამში 714 000 ლარის შემოწირულება განახორციელეს 2-დან 16 აგვისტომდე პერიოდში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაამოწმა მათი საგადასახადო დეკლარაციები და გამოიკითხა ერთ-ერთი მათგანი.

48 18 სექტემბერს თბილისსა და სხვა ქალაქებში გამოჩნდა ანონიმური ბილბორდები, რომლებზეც გამოსახული იყო ოპოზიციის ლიდერები, ტელევიზიის მფლობელი და ჟურნალისტი. ბილბორდები სისხლიანი წარსულის იდეას ატარებდნენ. სამი საჩივრის პასუხად ცესკომ დაადგინა, რომ ეს ბილბორდები წინასაარჩევნო კამპანიის მასალას არ წარმოადგენდა, ამგვარად კანონის ვიწრო ინტერპრეტაცია გამოიყენა.

პროტესტანტული ეკლესია - ბიბლიური თავისუფლება“ საბანკო ანგარიშზე ირიცხებოდა. არჩევნების დღის მდგომარეობით გამოძიებები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, მაშინ როდესაც შესაძლო დარღვევები აგვისტოს დასაწყისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე დაფიქსირდა; რაც თავის მხრივ დაჩქარებული ვადების არარსებობამ გამოიწვია. მთლიანობაში, დაჩქარებული ვადების არარსებობა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფორმალისტური მიდგომა იწვევდა შეშფოთებას, რომ მარეგულირებელი ჩარჩო არასაკმარისია, ხოლო კონტროლი არაეფექტური.

მედია

მედიაგარემო კვლავ ხასიათდებოდა ინტენსიური პოლარიზებითა და მიკერძოებულობით. ძირითადი კერძო ეროვნული ტელევიზიები გამოხატავდნენ ან ღია მხარდაჭრას *“ქართული ოცნების“* მიმართ და უარყოფითად აშუქებდნენ *„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“,* ან პირიქით, ავლენდნენ აშკარა მიკერძოებულობას მმართველი პარტიის წინააღმდეგ. 2020 წლის ივლისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით საარჩევნო კოდექსი არჩევნების მეორე ტურში ფასიანი და უფასო რეკლამის განთავსებას არეგულირებს.[49] საზოგადოებრივმა მაუწყებლებმა და ეროვნულმა კერძო არხებმა უნდა უზრუნველყონ უფასო საეთერო დროის პარტიებს შორის პროპორციულად განაწილება, ქვეყნის მასშტაბით იმ კანდიდატების შესაბამისი რაოდენობის გათვალისწინებით რომლებიც მონაწილეობენ მეორე ტურში. პირველ და მეორე ტურს შორის მაუწყებლების მარეგულირებელმა ორგანომ, კომუნიკაციების კომისიამ, ორი კერძო ტელეკომპანიის წინააღმდეგ საარჩევნო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ სამი ადმინისტრაციული ოქმი შეადგინა.[50]

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მედიის მონიტორინგმა აჩვენა ისეთივე ტენდენცია, როგორიც პირველი ტურის წინა პერიოდში გამოვლინდა. ეროვნული არხები ორ მთავარ აქტორზე, *„ქართულ ოცნებასა“* და *„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“,* ასევე მთავრობაზე იყვნენ ფოკუსირებული.[51] სამივემ ერთად მიიღო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სრული საარჩევნო გაშუქების 79 პროცენტი, მაშინ როცა პარტიის, *„გახარია - საქართველოსთვის“,*

---

[49] მუხლი 76[1].21 -ის მიხედვით წინასაარჩევნო რეკლამებს მაუწყებლები გადასცემდნენ მეორე ტურის დანიშვნის დღის მომდევნო ორშაბათიდან, ამ შემთხვევაში 18 ოქტომბერი. წინასაარჩევნო რეკლამების განთავსებისათვის მოქმედებს არჩევნების პირველი ტურისათვის გამოქვეყნებული ტარიფები და ტარიფის შეცვლა დასაშვებია პირველი ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. ახალი ტარიფი ეგზავნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით. კომისიამ ტარიფები 13 ოქტომბერს გამოქვეყნა.

[50] 27 და 28 ოქტომბერს კომუნიკაციების კომისიამ ორი ადმინისტრაციული ოქმი შეადგინა *„მთავარისა“* და ტელეკომპანაი *„იმედის“* წინააღმდეგ წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის საარჩევნო კოდექსის დარღვევით განთავსების შესახებ. 29 ოქტომბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარადგინა სარჩელი ტელეკომპანაი „იმედის“ წინააღმდეგ, რომელმაც მათი საარჩევნო რეკლამის განთავსებაზე უარი განაცხადა, რაც კომუნიკაციების კომისიამ დააკმაყოფილა.

[51] მეორე ტურისთვის, 18 ოქტომბრიდან, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ჩაატარა ექვსი მაუწყებლის საუკეთესო საეთერო დროის რაოდენობრივი და თვისებრივი მედია მონიტორინგი *(„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი“, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია“, „რუსთავი 2“*, ტელეკომპანია *„იმედი“*, ტელეკომპანაი *„პირველი“* და *„მთავარი არხი“).*

ხილვადობა დიდწილად შემცირდა. გაშუქების დიდი ნაწილი მიეძღვნა ურთიერთთავდასხმებს საარჩევნო სუბიექტებს შორის, ადგილობრივი და პოლიტიკის საკითხების ძალიან შეზღუდული ანალიტიკური გაშუქებით, რაც ამომრჩევლისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ამცირებდა. ზოგიერთმა სატელევიზიო არხმა სცადა დებატების ჩატარება მეორე ტურისთვის, თუმცა არცერთი არ ჩატარდა კანდიდატების უმეტესობის მხრიდან მონაწილეობის სურვილის არქონის გამო.

ძირითადმა კერძო ტელევიზიებმა შეინარჩუნეს პირველ ტურზე მონიტორინგით გამოვლენილი გაშუქების შესაბამისი პოლიტიკური ხაზი და გაზარდეს მიკერძოებულობის ხარისხი, რაც წარმოადგენს მხარის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მკვეთრად გამოვლენილ აქტივიზმს. 18 ოქტომბერს ტელეკომპანია *„იმედმა“* ოფიციალურად გამოაცხადა „საგანგებო სარედაქციო რეჟიმი“, რომლითაც ტელევიზია *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* ხელისუფლებაში დაბრუნების წინააღმდეგ იმუშავებდა. არხმა წარმოადგინა აშკარა მხარდაჭერა *„ქართული ოცნებისა“* და მთავრობის მიმართ, დაუთმო რა მათ გაშუქების 63 პროცენტი, რომლის ნახევარი დადებითი იყო მაშინ, როცა ამავე არხმა *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* გაშუქებას 31 პროცენტი დაუთმო, უმეტესად უარყოფითი გაშუქებით (90 პროცენტი). ორმა არხმა, *„მთავარმა“* და *„პირველმა“*, გამოავლინა მკვეთრად ნეგატიური პოზიცია *„ქართული ოცნების“* მიმართ. მთავრობამ და მმართველმა პარტიამ მიიღო მთლიანი დროის დაახლოებით 24 პროცენტი, რომლის 85 პროცენტი იყო უარყოფითი. *“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* გაშუქება *„მთავარ არხზე“* მთლიანი საეთერო დროის 61 პროცენტს უტოლდებოდა და უმეტესად პოზიტიური იყო (63 პროცენტი). ტელეკომპანია *„პირველმა“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* გაშუქებას 48 პროცენტი დაუთმო, რაც ძირითადად პოზიტიური იყო (46 პროცენტი). ტელეკომპანი *„რუსთავი 2“*-მა ძირითადად მმართველ პარტიასა და მთავრობაზე იყო ფოკუსირებული (65 პროცენტი), თუმცა გაშუქების ტონი შედარებით ზომიერი იყო. *„საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზიამ“* კამპანიის ძირითადად ნეიტრალური და მრავალფეროვანი გაშუქება უზრუნველყო. *„საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“* თანაბარი საეთერო დრო დაუთმო *„ქართულ ოცნებას“* და *„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“* ძირითადად ნეიტრალურად გააშუქა, მაშინ როცა *„ქართული ოცნების“* გაშუქების დადებითი ტონი გაძლიერდა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, ძირითადად 27 ოქტომბერს პარტიის მიერ ჩატარებული აქციის პირდაპირ ეთერში გადაცემის გამო. *„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია“* გაშუქებისას ფოკუსირებული იყო კანდიდატებზე და ასევე აღნიშნული არჩევნების ადგილობრივ მნიშვნელობაზე.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

2020 წელს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე დაყრდნობით პირველ ტურში რეგისტრირებულ დამკვირვებლებსა და მედია საშუალებების წარმომადგენლებს აკრედიტაცია არჩევნების მეორე ტურში ავტომატურად გაუხანგრძლივდათ. მათ ახალი დამკვირვებლების აკრედიტირება 25 ოქტომბრამდე შეეძლოთ. საერთო ჯამში აკრედიტაცია გაიარა 88 სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა 35 198 სამოქალაქო დამკვირვებელმა, 1 102 დამკვირვებელმა და 119 მედია საშუალების 3 711 წარმომადგენელმა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 52 ორგანიზაციის წარმომადგენელ 1

102 საერთაშორისო დამკვირვებელს მისცა აკრედიტაცია. გამოცდილმა ადგილობრივმასადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გააგრძელეს საბოლოო შედეგების ტაბულაციაზე, საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესსა და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზე დაკვირვება[52]

არჩევნების დღე

არჩევნების დღემ მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა და კარგად იყო ადმინისტრირებული. თუმცა საარჩევნო უბნების გარეთ პარტიების მხარდამჭერებს შორის დაპირისპირებისა და ორმხრივი პროვოკაციების ერთეული შემთხვევა დაფიქსირდა. ცესკო რეგულარულად აქვეყნებდა ინფორმაციას ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ და საუბნო საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების გამოქვეყნება არჩევნების ღამეს საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ ძალიან მალე დაიწყო, რამაც პროცესის გამჭვირვალობას ხელი შეუწყო. საარჩევნო უბნები, რომლებშიც სადამკვირვებლო მისიის წარმომადგნელები იმყოფებოდნენ, ძირითადად, დროულად გაიხსნა და უბნების გახსნა დადებითად შეფასდა დამკვირვებელთა მიერ მონახულებულ 52-ვე საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც შესაბამისი პროცედურები ძირითადად დაცული იყო. თუმცა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა და მიღებული ბიულეტენების რიცხვის საჩვენებელ ოქმში შეტანა, პირველი ტურის მსგავსად, რიგ უბნებზე პრობლემური იყო. ცესკოს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად ამომრჩეველთა აქტივობა 49.1 პროცენტი იყო, რაც პირველ ტურში დაფიქსირებულ 51.9 პროცენტთან შედარებით მცირედი კლებაა. დაკვირვების არეალში მოქცეულ საარჩევნო უბნებზე საარჩევნო კომისიების წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ.

დაკვირვების არეალში არსებული 480 საარჩევნო უბნის 97 პროცენტში ხმის მიცემის პროცესი დადებითად შეფასდა. კოვიდრეგულაციები ზოგადად დაცული იყო, მაგრამ დაკვირვების არეალში არსებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 15 პროცენტში შეინიშნებოდა ხალხმრავლობა, რამაც ფიზიკური დისტანციის დაცვის შესახებ წესების აღსრულება გაართულა. დაკვირვების არეალში არსებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 63 პროცენტი ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამოუკიდებლად ხელმისაწვდომი არ იყო. სამოქალაქო დამკვირვებლები საარჩევნო პროცესს ესწრებოდნენ მონახულებული უბნების 96 პროცენტში, თუმცა საარჩევნო უბნების 53 პროცენტში სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლად დარეგისტრირებული ან მედიის წარმომადგენლად აკრედიტირებული პირები დე ფაქტო საარჩევნო სუბიექტების ინტერესებს წარმოადგენდნენ და ზოგჯერ პროცესში ერეოდნენ. დამკვირვებლების შეფასებით საუბნო საარჩევნო კომისიის თანამშრომლებმა კენჭისყრის პროცედურები სათანადოდ დაიცვეს, გარდა მცირე გამონაკლისებისა, რომლებიც უმეტესად

[52] მათ შორის, *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“,* (ISFED), *აერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“*(TI), *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“*(GYLA) *და „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს“* (PMMG). 3 ოქტომბერს „სამართლიანმა არჩევნებმა“ გამოაქვეყნა ხმების პარალელური დათვლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ წინასწარ შედეგებს.

შეეხებოდა მარკირებას ან მარკირების კვალის შემოწმებას; ამომრჩევლებს კი ბიულეტენის ფარულად შემოხაზვა შეეძლოთ.[53]

ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, რომელთა მიხედვითაც საარჩევნო უბნის გარეთ 100 მეტრის პერიმეტრში შეკრებები აიკრძალა, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ მონახულებული საარჩევნო უბნების 29 პროცენტში, დროდადრო შეიმჩნეოდა ცალკეულ პირთა ჯგუფების დამაშინებელი ყოფნა უშუალოდ საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე. ამომრჩეველთა აღრიცხვა მონახულებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 9 პროცენტში დაფიქსირდა, რამდენიმე მუნიციპალიტეტში კი მიიღეს ცნობები ამომრჩეველთა მოსყიდვის შემთხვევების შესახებ.[54] მედია საშუალებების მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე საარჩევნო უბანში ან უბნის სიახლოვეს დაძაბული ვითარების შესახებ, რაც მოიცავდა ორი ძირითადი პარტიის მხარდამჭერთა შორის დაპირისპირებას და ჟურნალისტების, დამკვირვებლების, ამომრჩევლების და კანდიდატების მიმართ გამოთქმულ მუქარებსა და მათზე თავდასხმის ფაქტებს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ დაიწყო რვა გამოძიება, მათ შორის თბილისში საარჩევნო უბნის გარეთ *„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“* მერობის კანდიდატზე თავდასხმის ფაქტზე, ფიზიკური თავდასხმების შესახებ ზუგდიდსა და ქარელში და ერთ-ერთი კანდიდატის წინააღმდეგ მიმართული სიცოცხლის მოსპობის მუქარის თაობაზე.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა 52 საარჩევნო უბნიდან 48 უბანში ხმების დათვლის პროცესი დადებითად შეაფასეს. საარჩევნო სუბიექტებისა და სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლები საარჩევნო პროცესს ესწრებოდნენ თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე, სადაც საერთაშორისო მისიის დამკვირვებლები ხმების დათვლის პროცესს დააკვირდნენ. თუმცა მათი დაკვირვებით ექვს უბანზე ისინი პროცესში ერეოდნენ. ხმების დათვლის პროცედურების დაცვა პირველ ტურთან შედარებით მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა და კვლავ დაფიქსირდა რამდენიმე პროცედურული ხარვეზი. კერძოდ, ცხრა შემთხვევაში საარჩევნო ყუთების გახსნამდე ხელმოწერების რაოდენობა არ იყო სათანადოდ ჩაწერილი სადემონსტრაციო ოქმში, გამოუყენებელი ბიულეტენები არ გაბათილდა დამკვირვებელთა დაკვირვების არეალში მოქცეულ ხუთ საარჩევნო უბანზე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მონახულებულ უბანზე მიცემული ხმები ხმამაღლა ამოიკითხეს და შესაბამის კანდიდატებს მიაწერეს, რასაც დამკვირვებლები და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები თვალნათლივ ხედავდნენ, შვიდ მათგანში საეჭვო ბიულეტენების ნამდვილობის საკითხზე გადაწყვეტილება თავმჯდომარემ გამოიტანა კომისიის წევრთა მიერ კენჭისყრის ნაცვლად, რაც ეწინააღმდეგება პროცედურებით გათვალისწინებულ წესს. მონახულებულ ოთხ საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს კვლავ გაუჭირდათ მიერ ოქმების

---

53 ახალი ტიპის კენჭისყრის კაბინის გამოყენება, რომელიც შეიქმნა ამომრჩეველთა მიერ მოხაზული ბიულეტენისათვის ფოტოგადაღების ხელის შემლის მიზნით, არ ჩანდა, რომ არღვევდა ხმის მიცემის ფარულობას. დაკვირვების არეალში არსებული საარჩევნო უბნების 13 პროცენტში, დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ ერთი ან უფრო მეტი ამომრჩეველი გააბრუნეს, რითაც ხმის მიცემაზე უარი ეთქვათ, რაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლიანი მიზეზით ხდებოდა როგორიც არის პირადობის მოწმობის არქონა, ხოლო შემთხვევების ნახევარში პირი მართებულად გადაამისამართეს სხვა საარჩევნო უბანზე.

54 თბილისის ზოგიერთ ნაწილში (საბურთალო, ვაკე, კრწანისი, სამგორი), ქუთაისში, ჩხოროწყუში, თელავსა და ბათუმში.

შევსება. მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებლებმა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლება მიიღეს საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლები, 18 საარჩევნო უბანზე ისინი თვალსაჩინოდ არ გამოიკრა, რაც პროცედურით გათვალისწინებული წესის დარღვევაა.

საარჩევნო უბნების ოქმების მიღება, შემოწმება და ატვირთვა მონახულებულ 39 საოლქო საარჩევნო კომისიაში უმეტესად გამჭვირვალედ, მოწესრიგებულად და ეფექტურად შეფასდა. თუმცა საბოლოო შედეგები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში ახლდებოდა მხოლოდ მონახულებული საოლქო საარჩევნო კომისიების ნახევარში არ იყო ნაჩვენები. ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ღამეს პერიოდულად აქვეყნებდა ნამდვილ ხმებზე დაფუძნებით მიღებულ წინასწარ მონაცემებს, რაც ხელს უწყობდა გამჭვირვალობას.

არჩევნების დღეს შესაძლებელი იყო საჩივრების საუბნო საარჩევნო კომისიებში შეტანა, მაგრამ მსგავსი ინფორმაცია არ არის გამოქვეყნებული. ცენტრალური საარჩევნო კომისიაზე დაყრდნობით საოლქო საარჩევნო კომისიებში შევიდა დაახლოებით 265 საჩივარი ამომრჩეველთა დაშინების, მათ შორის საარჩევნო უბნებზე და უბნების გარეთ ამომრჩეველთა აღრიცხვის, დამკვირვებლებისთვის ხელის შეშლისა და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მარკირებისა და სხვადასხვა პროცედურული დარღვევის სავარაუდო ფაქტების შესახებ და გადათვლისა ან კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნები.

წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ხელმისაწვდომია დოკუმენტის არაოფიციალური თარგმანი ქართული ენაზე.

ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლობელი სიტყვა

თბილისი, 2021 წლის 31 ოქტომბერი - მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპული პარლამენტის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. არჩევნებზე დაკვირვების მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩატარებული არჩევნები ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, ევროპის საბჭოს სტანდარტებს, დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებს და ადგილობრივ კანონმდებლობას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას, რომელიც საქართველოში 26 აგვისტოდან მუშაობს, ალბერტ იონსონი ხელმძღვანელობს, ევროპული პარლამენტის დელეგაციას კი ინესე ვაიდერე ხელმძღვანელობდა. ევროპული პარლამენტის დელეგაცია საქართველოში 27 ოქტომბერს ჩამოვიდა.

31 ოქტომბერს არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიაში (IEOM) მონაწილე ინსტიტუტებმა 2005 წელს მიღებულ „არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციას“ დაუჭირეს მხარი. მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე მომზადდა. არჩევნების საბოლოო შეფასება, ნაწილობრივ, საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპებზე, მათ შორის ხმების დათვლაზე, ტაბულაციასა და შედეგების გამოცხადებაზე, მიმდინარეობაზე და ასევე არჩევნების დღის შემდეგ მოსალოდნელი საჩივრებისა და სარჩელების განხილვაზე იქნება დამოკიდებული. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც მოცემული იქნება რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის პოტენციური გაუმჯობესების გზების შესახებ, საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირაში გამოაქვეყნებს. ევროპული პარლამენტი ანგარიშს წარმოადგენს ევროპული პარლამენტის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის მომავალ შეხვედრაზე.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისია დედაქალაქში 12 ექსპერტით, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით 16 გრძელვადიანი დამკვირვებლით არის წარმოდგენილი. არჩევნების დღეს 31 ქვეყნიდან მოწვეული 149 დამკვირვებელი დააკვირდა. მათ შორის იყვნენ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 142 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები და ევროპული პარლამენტის შვიდწევრიანი დელეგაცია. მთელი ქვეყნის მასშტაბით უბნების გახსნას 52უბანში დააკვირდნენ, ხმის მიცემის პროცესს -480 -უბანში, ხმების დათვლას -52უბანში, ტაბულაციას კი 39- საოლქო საარჩევნო კომისიაში.

დამკვირვებლებს სურთ, მადლობა გადაუხადონ ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის და ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული დახმარებისთვის. დამკვირვებლები ასევე მადლიერებას გამოხატავენ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო

საზოგადოების ორგანიზაციების და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მიმართ გაწეული თანამშრომლობისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

- ელჩი ალბერტ იონსონი
  ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი,
  თბილისი (+995 595316883);
- კატია ანდრუში
  ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი (+48 609 522 266)
- ან ქსენია დაშუცინა,
  ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის კონსულტანტი საარჩევნო საკითხებში,
  ვარშავა (+48 603 793 786);
- რაფაელე ლუისი, ევროპული პარლამენტი (+32 477 85 53 24).

ოდირის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:
„შერატონ გრანდ მეტეხი პალასი“
თელავის ქ. #20, 0103, თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: office@odihr.ge